ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 8 თებერვლის №01220393027 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და ჩამოყალიბებულია საწარმოო და სასაწყობე ტიპის განაშენიანება. შესაბამისად, საპროექტო წინადადებით არ ხდება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის მკვეთრი ცვლილება.

ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.11.04.028.056 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე №01.11.04.028.014 საკადასტრო ერთეულზე ხორციელდება

ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა, ხოლო საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა (სზ) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 4 აპრილის №01220944027 წერილით, თანახმაა №01.11.04.028.014 საკადასტრო ერთეულზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 28/056) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.028.056), №01.11.04.028.014 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01220881056-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ბოტანიკურის ქუჩა №17-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.064.071) მიმდებარედ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

საპროექტო არეალი წარმოადგენს №01.18.03.064.071 საკადასტრო ერთეულის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიას. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანია, განხორციელდეს აღნიშნული ტერიტორიის ლეგალიზება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი: №01.18.03.064.071 და მიმდებარე ტერიტორია) ექცევა ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართის №2-ის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, №39-18

დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილების თანახმად, №01220881056-67 განცხადებით მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი ლეგალიზების მიზნით, განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2022 წლის 11 აპრილის №10-0122101719-16 წერილი და 2022 წლის 7 აპრილის №12 ოქმი), საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.064.071) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ასევე, რეკომენდაციის სახით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული №01.18.03.064.071 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით არსებულ კიბეზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2022 წლის 12 აპრილის №0122102462 წერილის მიხედვით, მოთხოვნილი კონფიგურაციის შესაბამისად და განსახილველი მიწის ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთით ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

ამასთან, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სათანადო პარამეტრის შენარჩუნებისა და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის მიზნით, მიზანშეწონილია, არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დაკორექტირდეს და გავრცელდეს საპროექტო ტერიტორიაზე, ასევე, №01.18.03.064.026 და №01.18.03.072.130 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ საზოგადოებრივ სივრცესა და საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთით არსებულ კიბის მონაკვეთზე.

ასევე, ვინაიდან საპროექტო მონაკვეთის სამხრეთით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დიდი ნაწილი ვრცელდება შენობა-ნაგებობებზე და ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია, მიზანშეწონილია, №01.18.03.072.130 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში და მის სამხრეთით, გაუქმდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.064.071) სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე, ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.18.03.064.071 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბოტანიკურის ქუჩა №17-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.064.071) მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება, ასევე, №01.18.03.064.071 საკადასტრო ერთეულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე, №01.18.03.072.130 და №01.18.03.072.140 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და №01.18.03.064.071, №01.18.03.064.026 და №01.18.03.072.130 საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №01220831958-67(№01220911135-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარში, კვანტალიანის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.007.054) მიმდებარედ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2022 წლის 12 აპრილის №01221021144 წერილის მიხედვით, ფუნქციური ზონის ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს ნაწილობრივ, საპროექტო მონაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, სადაც სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ შენობა-ნაგებობაზე, ღობესა და შემოღობილ ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი.

ამასთან, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დაკორექტირდეს და გაუქმდეს აგრეთვე, იმ მონაკვეთზე, სადაც სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ფაქტობრივ შენობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარში, კვანტალიანის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.007.054) მიმდებარედ მოთხოვნილი არეალის ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.13.072-ის ნაწილზე; №81.01.01.467 №81.01.01.468; №81.01.12.110; №81.01.01.330 და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონისა (სზ) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანია, მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებზე, - რომელიც წარმოადგენს ინტენსიურად გამწვანებული ტერიტორიის ნაწილს, - გავრცელდეს სატყეო ზონა. აღნიშნული ცვლილებით, მოხდება ტერიტორიების პირვანდელი სახის შენარჩუნება/მწვანე საფარის დაცვა და გაიზრდება გამწვანებული ტერიტორიების ფართობი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 18 მარტის №18-0122077880 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, 2022 წლის 12 აპრილის №61-01221023749 წერილის შესაბამისად, თანახმაა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელდეს სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.13.072-ის ნაწილზე; №81.01.01.467 №81.01.01.468; №81.01.12.110; №81.01.01.330 და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე) საცხოვრებელი ზონისა (სზ) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.154.036-ის ნაწილი; №01.20.01.154.035) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწებზე, - რომელიც წარმოადგენს ინტენსიურად გამწვანებული ტერიტორიის ნაწილს, - გავრცელდეს სატყეო ზონა. აღნიშნული ცვლილებით, მოხდება ტერიტორიების პირვანდელი სახის შენარჩუნება/მწვანე საფარის დაცვა და გაიზრდება გამწვანებული ტერიტორიების ფართობი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 18 მარტის №18-0122077880 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, 2022 წლის 12 აპრილის №61-01221023749 წერილის შესაბამისად, თანახმაა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელდეს სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.154.036-ის ნაწილი; №01.20.01.154.035) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.12.094) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწებზე, - რომელიც წარმოადგენს ინტენსიურად გამწვანებული ტერიტორიის ნაწილს, - გავრცელდეს სატყეო ზონა. აღნიშნული ცვლილებით, მოხდება ტერიტორიების პირვანდელი სახის შენარჩუნება/მწვანე საფარის დაცვა და გაიზრდება გამწვანებული ტერიტორიების ფართობი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 18 მარტის №18-0122077880 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, 2022 წლის 12 აპრილის №61-01221023749 წერილის შესაბამისად, თანახმაა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გავრცელდეს სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.12.094) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

- განმარტებითი ბარათის „ი“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - №01220903703-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა №6-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.086) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 7 აპრილის №01220971705 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 12 აპრილის №01221023461 წერილის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთზე მოთხოვნილი კონფიგურაციით ფუნქციური ზონის ცვლილება არ მოდის წინააღმდეგობაში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებულ ან/და სამომავლო განვითარების მიზნებთან. ამასთან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სს „საქართველოს რკინიგზის“ პოზიცია (№1086; 15.03.2022), რომლის მიხედვით სს „საქართველოს რკინიგზა“ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საწყობის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „კ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - №01220903422-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ბაგეში, წყნეთის გზატკეცილზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:

№01.14.08.002.065) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

მიმდებარე ტერიტორიაზე ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვისა და ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.14.08.002.043, №01.14.08.001.197 და №01.14.08.002.065 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ითა (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 13 აპრილის №012210370 წერილის მიხედვით, მიზანშეწონილია საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სატრანსპორტო ზონა გაუქმდეს მხოლოდ იმ მონაკვეთებზე, რომლებიც ფაქტობრივად არ წარმოადგენს გზას. ამასთან, მიზანშეწონილია, რომ გზაზე ფუნქციური ზონა დარჩეს უცვლელი და განსახილველი არეალის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დაკორექტირდეს აღმოსავლეთით, გზის ფაქტობრივი კონტურის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბაგეშში, წყნეთის გზატკეცილზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.08.002.065) ნაწილზე, №01.14.08.002.043 და №01.14.08.001.197 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ითა (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 13 აპრილის №12-0322103103-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №0122018575-67; №0122077465-67; №01220321259-67(№01220941383-67); №01220881056-67; №01220831958-67(№01220911135-67); №01220903703-67; №01220903422-67 განცხადებები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

3 ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 4

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 13 აპრილის №12-0322103103-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №0122018575-67; №0122077465-67; №01220321259-67(№01220941383-67); №01220881056-67; №01220831958-67(№01220911135-67); №01220903703-67; №01220903422-67 განცხადებები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 3 ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 12 აგვისტოს №12-032122442-03 წერილი (გადადებული №01211526-67 განცხადება); 2021 წლის 2 სექტემბრის №12-03212453-03 წერილი (გადადებული №012121247-67 განცხადება); 2021 წლის 10 დეკემბრის №12-032134433-03 წერილი (გადადებული №0121305780-67 განცხადება); 2021 წლის 18 თებერვლის №12-032104946-03 წერილი (გადადებული №0121030132-67 განცხადება))

სხდომის დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 12 აგვისტოს №12-032122442-03 წერილით წარმოდგენილ №01211526-67 განცხადებასთან დაკავშირებით სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ, 2021 წლის 7 სექტემბრის კომისიის სხდომაზე (ოქმი №90) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით, გადადო ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის III ჩიხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.045; №01.14.08.001.178) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01211526-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის III ჩიხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.045; №01.14.08.001.178) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.14.08.001.045, №01.14.08.001.178 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე და ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 9 ივისის №0121160966 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის III ჩიხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.045; №01.14.08.001.178) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 12 აგვისტოს №12-032122442-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული №01211526-67 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 4

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 12 აგვისტოს №12-032122442-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული №01211526-67 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 2 სექტემბრის №12-03212453-03 წერილით წარმოდგენილ №012121247-67 განცხადებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 2021 წლის 7 სექტემბრის კომისიის სხდომაზე (ოქმი №90) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული იქნა ქალაქ თბილისში, უჩანეიშვილის (ყოფილი იმედაძის) №31-ში და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.008.052; №01.14.08.008.058) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხის განხილვა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №012121247-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, უჩანეიშვილის (ყოფილი იმედაძის) №31-ში და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო

კოდი: №01.14.08.008.052; №01.14.08.008.058) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 აგვისტოს №01212232769 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა.

№01.14.08.008.052 და №01.14.08.008.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, ისევე, როგორც მიმდებარე ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ასევე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, უჩანეიშვილის (ყოფილი იმედაძის) №31-ში და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.008.052; №01.14.08.008.058) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 2 სექტემბრის №12-03212453-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული №012121247-67 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 4

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 2 სექტემბრის №12-03212453-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული №012121247-67 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 10 დეკემბრის №12-032134433-03 წერილით წარმოდგენილ №0121305780-67 განცხადებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 2021 წლის 21 დეკემბრის კომისიის სხდომაზე (ოქმი №2) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული იქნა ქალაქ თბილისში, ვანლერ დაისელის I ჩიხი, №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.036.046) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების საკითხის განხილვა.

მომხსენებლის (ნ. ზაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №0121305780-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვანლერ დაისელის I ჩიხი, №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.036.046) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 22 ნოემბრის №01213263672 წერილის მიხედვით, №01.17.08.036.100 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის შემოღობილი ტერიტორია და არ წარმოადგენს საჯარო სივრცეს. ამასთან, №01.17.08.036.046 და №01.17.08.036.084 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) ფაქტობრივად სატრანსპორტო ფუნქცია არ გააჩნია და არსებული რელიეფიდან გამომდინარე, აღნიშნულ მონაკვეთებზე არ არსებობს სამომავლო გზის მოწყობის პოტენციალი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 21 დეკემბრის №12-032134433-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული №0121305780-67 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 4

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 21 დეკემბრის №12-032134433-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული №0121305780-67 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 თებერვლის №12-032104946-03 წერილით წარმოდგენილ №0121030132-67 განცხადებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 2021 წლის 5 მარტის კომისიის სხდომაზე (ოქმი №79) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული იქნა ქალაქ თბილისში, გივი სვანიძის ქუჩა №2-16ა; ი. ჭავჭავაძის გამზირი №75ა-გ და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.109; №01.14.07.008.040; №01.14.07.008.041; №01.14.07.008.097; №01.14.07.008.081; №01.14.07.008.039; №01.14.07.008.115; №01.14.07.008.137; №01.14.07.008.111; №01.14.07.008.060; №01.14.07.008.063-ის ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების საკითხის განხილვა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №0121030132-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გივი სვანიძის ქუჩა №2-16ა; ი. ჭავჭავაძის გამზირი №75ა-გ და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.109; №01.14.07.008.040; №01.14.07.008.041; №01.14.07.008.097; №01.14.07.008.081; №01.14.07.008.039; №01.14.07.008.115; №01.14.07.008.137; №01.14.07.008.111; №01.14.07.008.060; №01.14.07.008.063-ის ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6).

საპროექტო არეალის უმეტესი ნაწილი მოქცეულია სპეციალური შეზღუდვის ზონაში, კერძოდ, მდინარეთა შეტბორვის არეალში, რომელზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 28-ე მუხლისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მიხედვით, ვრცელდება სპეციალური რეჟიმი. შესაბამისად, ზონის ცვლილება დასაშვებია შეტბორვის არეალის მიღმა არსებულ საკადასტრო ერთეულებზე.

ამასთანავე, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება სასაფლაოების სანიტარიული დაცვის არეალი და ასევე, მოქცეულია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი N1.9 „საშიში გეოდინამიკური პროცესების მიხედვით თბილისის დარაიონების რუკით“ დადგენილი მაღალი გეოდინამიკური საფრთხის ზონაში.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საპროექტო არეალის უმეტესი ნაწილი მოქცეულია სპეციალური შეზღუდვის ზონაში, კერძოდ, მდინარეთა შეტბორვის არეალში, ხოლო „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი N1.9 „საშიში გეოდინამიკური პროცესების მიხედვით თბილისის დარაიონების რუკით“ დადგენილი მაღალი გეოდინამიკური საფრთხის ზონაში, რის გამოც მიზანშეწონილად არ მიაჩნია განხორციელდეს ქალაქ თბილისში, გივი სვანიძის ქუჩა №2-16ა; ი. ჭავჭავაძის გამზირი №75ა-გ და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.109; №01.14.07.008.040; №01.14.07.008.041; №01.14.07.008.097; №01.14.07.008.081; №01.14.07.008.039; №01.14.07.008.115; №01.14.07.008.137; №01.14.07.008.111; №01.14.07.008.060; №01.14.07.008.063-ის ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ბატონი ნიკოლოზ კახეთელიძის მიერ გამოთქმულ აზრს დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

მიზანშეწონილია უარი ეთქვას №0121030132-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გივი სვანიძის ქუჩა №2-16ა; ი. ჭავჭავაძის გამზირი №75ა-გ და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.109; №01.14.07.008.040; №01.14.07.008.041; №01.14.07.008.097; №01.14.07.008.081; №01.14.07.008.039; №01.14.07.008.115; №01.14.07.008.137; №01.14.07.008.111; №01.14.07.008.060; №01.14.07.008.063-ის ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0


თავი შეიკავა - 4

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

მიზანშეწონილია უარი ეთქვას №0121030132-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გივი სვანიძის ქუჩა №2-16ა; ი. ჭავჭავაძის გამზირი №75ა-გ და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.14.07.008.109; №01.14.07.008.040; №01.14.07.008.041; №01.14.07.008.097; №01.14.07.008.081; №01.14.07.008.039; №01.14.07.008.115; №01.14.07.008.137; №01.14.07.008.111; №01.14.07.008.060; №01.14.07.008.063-ის ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილებას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ნიკოლოზ კახეთელიძე